ჯანმრთელობის დაზღვევის *ხელშეკრულების დანართი N3*

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეულ პირთა თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და მისი ძირითადი საქმიანობა:

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ" (ს/ნ: 204919008; მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 53ა; ტელ.: +995 322 922 222 ელ. ფოსტა: personaldataofficer@imedil.ge) (შემდგომში - მზღვეველი) წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო მომსახურების გაწევა სხვადასხვა სფეროში, კერძოდ: ჯანმრთელობის და სიცოცხლის, სამოგზაურო, ავტო, ქონების დაზღვევა დ სხვა.

მზღვეველი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში დაამუშავებს დაზღვეულის პერსონალურ მონაცემებს, კერძოდ:

პირდაპირი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის ასლზე დატანილი სხვა ინფორმაცია), საკონტაქტო მონაცემები, ასევე ოჯახური მდგომარეობა, დასაქმების, პროფესიის, სამუშაო ადგილის, განათლების, დაზღვევის ხელშეკრულების დეტალები, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სადაზღვევო შემთვევის, დაზღვევის ობიექტის შესახებ და სადაზღვევო მომსახურების გასაწევად აუცილებელი სხვა ინფორმაცია. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლოა ასევე დამუშავდეს: ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული (სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში), კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ ყოფნის თაონაზე ინფორმაცია (ჯანმრთელობის/სიცოცხლის დაზღვევის დროს), დამზღვევის გარდაცვალების თარიღი, გარდაცვალების მიზეზი და გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია (არსებობის შემთვევაში), მათ შორის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები გარდაცვალების მიზეზთან დაკავშირებით (სიცოცხლის დაზღვევის დროს), დამზღვეევის მოგზაურობის პერიოდი, ქვეყანა და პასპორტზე ასახული მონაცემები (სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში), საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია (ქონების დაზღვევის შემთხვევაში).

მზღვეველი ამუშავებს დაზღვეულის მონაცემებს როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებით, დამუშავება მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

მონაცემების შეგროვებას, მოპოვებას, აღრიცხვას, გადამოწმებას, შენახვას, გამჟღავნებას, გამოყენებას, წაშლა/განადგურებას და ყველა სხვა დამუშავების კანონიერი მიზნისთვის საჭირო, აუცილებელ ქმედებას. აქვე, ცალკეულ შემთხვევებში (სამოგზაურო დაზღვევის, გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში) მონაცემები შესაძლოა გადაეცეს სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ მზღვეველის პარტნიორ, სპეციალიზირებული მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს ასეთ შემთხვევებში, მზღვეველი იცავს კანონმდებლობით დადგენილ წესებს, ამასთან მზღვეველსა და შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველი და მიმღები კომპანია უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს და იღებენ ვალდებულებას მონაცემთა უსაფრთხო გადაცემისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გატარების შესახებ.

ზემოაღნიშნული მონაცემების დამუშავების მიზნებია:

დაზღვეულის განცხადებების (დაზღვევის განაცხადი, პრეტენზია/საჩივარი, ინფორმაციის გამოთხოვა და სხვა) განხილვა, თქვენთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა, მზღვეველის ძირითადი საქმიანობის ეფექტიანი შესრულება (მათ შორის, სადაზღვევო შემთხვევების დადგენა და მათზე რეაგირება, დაზღვევის პოლისის გაცემა), მზღვეველის კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული დამზღვევის/დაზღვეულის ყველა უფლება დაცულია. დამზღვევს/დაზღვეულს უფლება აქვს:

1. მ ოითხოვოს ინფორმაცია (მიზნები, საფუძვლები, დამუშავების ვადა, მოანცემთა შეგროვების წყაროები და ა.შ.) მონაცემების დამუშავების თაობაზე და უსასყიდლოდ მიიღოთ მათი ასლები;
2. მ ოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
3. მოითხოვოს უსაფუძვლოდ დამუშავებულ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;
4. მოითხოვოს ავტომატურად დამუშავებული მონაცემები სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა;
5. ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს გაცემულ თანხმობაზე, რაც გულისხმობს თანხმობის უკან გამოხმობის შესაძლებლობას, ყოველგვარი უარყოფითი შედეგების გარეშე. ამავდროულად, თანხმობის გამოხმობისას, შეწყდება მონაცემების დამუშავება, შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობა, დაზღვეულისთვის სადაზღვევომომსახურების გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დამუშავების სხვა დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძველი (თანხმობის გამოხმობის მიზნით დამზღვევლი/დაზღვეული უნდა დაუკავშირდეს მზღვეველს ზემოაღნიშნულ საკონტაქტო მონაცემებზე);
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევაში დამზღვევს/დაზღვეულს შეუძლია მოგვმართოთ ზემოაღნიშნულ საკონტაქტო მონაცემებზე ან/და კანონით დადგენილი წესით, მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

მზღვეველი პასუხისმგებელია და,ზღვევის/დაზღვეულის მონაცემების კონფიდენციალურობაზე და იცავს მონაცემთა უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს. მზღვეველის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები (დამუშავების საფუძვლები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო, მონაცემთა მიმღებები და ა.შ.) მოცემულია კონფიდენციალურობის განაცხადში.
ამ თანხმობის მიზნებისათვის, მონაცემების გაზიარების მიზნით, ნებადართულ მესამე პირებად იგულისხმება: კომპანიის აქციონერი - სს „ა გრუფი“ და მის ჯგუფში შემავალი კომპანიები, სს „მეგა-ლაბი“, სს „გეფა“, სს „ევექსის კლინიკები“ (და მის ქსელში შემავალი კლინიკები), სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (და მის ქსელში შემავალი ჰოსპიტლები) და ასევე, ის სამედიცინო დაწესებულებები, ლაბორატორიები, თუ ფარმაცევტული კომპანიები (ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები) რომელიც შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, განისაზღვრება, როგორც მომსახურების პროვაიდერი კომპანია, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას, როგორც მიმდინარედ, ისე - სამომავლოდ შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების გაწევა და დაზღვეულის ინტერესებზე მორგებული სადაზღვევო მომსახურების შეთავაზება და/ან გაწევა.

მონაცემთა დამუშავება მოიცავს სადაზღვევო კომპანიის მიერ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემთა შეგროვებას, მოპოვებას, წვდომას, ფოტოგადაღებას, ვიდეოთვალთვალსა ან/და აუდიომონიტორინგს, ორგანიზებას, დაჯგუფებას, ურთიერთდაკავშირებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას, დაბლოკვას, წაშლასა ან განადგურებას, ასევე, მონაცემთა გამჟღავნებას, მათი გადაცემის, გასაჯაროების, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. სადაზღვევო კომპანიის მიერ მონაცემები დამუშავდება მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც იგი შეგროვდა და/ან კანონმდებლობით იქნა/არის გათვალისწინებული.

პერსონალური ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებზე (გარდა ზემოაღნიშნული პირებისა), კერძოდ, სახელმწიფო, მარეგულირებელი ორგანოები, მომსახურების ან მისი ნაწილის დამფინანსებელი პირები, სამართალდამცავი ორგანოები და სხვა, განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა გადაცემული იქნას კანონმდებლობით პირდაპირ გაუთვალისწინებელ

შემთხვევებშიც, კანონიერი ინტერესების დასაცავად, გონივრული საჭიროებიდან და/ან მოთხოვნის არსიდან გამომდინარე;

სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით სარგებლობისას, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, სადაზღვევო კომპანიის მიერ პერსონალური ინფორმაციის განსაზღვრული მიზნებით დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება სადაზღვევო მომსახურეობის მიზნებს და/ან მოთხოვნილია მარეგულირებელი ორგანოების მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

ასევე დამზღვევი/დაზღვეული პირი თანხმობას აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვისაც კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში და წესით.

დამზღვევი ადასტურებს ეთანხმება რომ მზღვეველმა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით (საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, შეთავაზება ან აღნიშნულის თაობაზე ინფორმირება) დაამუშაოს (სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნა ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით) მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი), ასევე ამავე მიზნით გადასცეს აღნიშნული მონაცემები დაკავშირებულ (აფილირებულ) შემდეგ კომპანიებს რომელთა წილების/აქციების 50%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელს წარმოადგენს სს „საქართველოს კაპიტალი" (ს/ნ 404549690)).

დამზღვევს აქვს ინფორმაცია რომ, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა არ არის სავალდებულო და თანხმობის გაუცემლობა ან შემდგომ გამოხმობა არ გამოიწვევს მისთვის ძირითადი მომსახურების შეწყვეტას/მომსახურებაზე უარის თქმას. ამასთან, მას უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამუშავების შეწყვეტა, ხოლო მზღვეველი უზრუნველყოფს ამ მოთხოვნის რეალიზებას სრულიად უფასოდ. თანხმობის გამოხმობა მათ შორის, შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე(+995 322 922 222), ელ.ფოსტის მისამართზე (personaldataofficer@imedil.ge) ან მზღვეველის ნებისმიერ ოფისში მოთხოვნის გაცხადების გზით.

დამზღვევი/დაზღვეული პირი ადასტურებს რომ, მიღებული აქვს სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი უფლებების შესახებ, მათ შორის, იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვისა და მათ დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხისა თუ წამოჭრილი პრობლემის მაქსიმალურად ეფექტურად მართვის/გადაჭრის მიზნით, დამზღვევი/დაზღვეული პირი უფლებამოსილია, კონსულტაციისთვის, ნებისმიერ დროს მიმართოს სადაზღვევო კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე personaldataofficer@imedil.ge და არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად მოკლე ვადაში მიიღოს კვალიფიციური და ოპერატიული მომსახურება.

დამზღვევი ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს დაზღვეულის წერილობითი თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით და მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგენს მზღვეველს შესაბამის დოკუმენტაციას - დაზღვეულის მიერ ხელმოწერილ თანხმობას წინამდებარე მუხლში მითითებული ფორმის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო მზღვეველს შესაბამისი უფლებამოსილი პირისგან დაეკისრება ჯარიმა ან/და მიადგება ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი, დამზღვევი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მზღვეველს მასზე დაკისრებული ჯარიმა სრულად (პირგასამტეხლოს ჩათვლით ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი/ზარალი.